განმარტებითი ბარათი
„პროფესიული კავშირების შესახებ“
საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წლის 19 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილება, კერძოდ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „ყველას აქვს ორგანული კანონის შესაბამისად პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება“. აღნიშნულმა ნორმამ წარმოქმნა ვალდებულება, რომ „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონი გარდაიქმნას ორგანულ კანონად.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის 10 ივლისის „ასოციაციის თავისუფლებისა და ორგანიზაციის დაცვის შესახებ“ N87 კონვენციით (საქართველოში ძალაშია საქართველოს 1999 წლის 23 ივნისიდან) აღიარებულია დასაქმებულთა უფლება საკუთარი ნებით შექმნან ორგანიზაცია და გაერთიანდნენ ასეთ ორგანიზაციაში და დადგენილია, რომ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას განახორციელოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა, რათა დასაქმებულებისთვის გარანტირებული იყოს ორგანიზაციის უფლების თავისუფალი განხორციელება.

საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წლის 19 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, არსებობს ვალდებულება, რომ „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონი გარდაიქმნას ორგანულ კანონად, ამიტომ აუცილებელია, რომ პროფესიული კავშირების შექმნის სამართლებრივი საფუძვლები, უფლებები და საქმიანობის გარანტიები დარეგულირდეს ორგანული კანონით, რათა დასაქმებულებმა ეფექტიანად შეძლონ საკუთარი უფლებების დაცვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით დარეგულირებულია პროფესიული კავშირების შექმნის უფლება და მათი დამოუკიდებლობა, პროფესიული კავშირის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

კანონპროექტი ასევე განსაზღვრავს პროფესიული კავშირის ძირითად უფლებებს, კერძოდ მუშაკთა შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და წარმომადგენლობის უფლებას, შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი პროფკავშირული კონტროლის უფლებას და სხვა უფლებებს.

კანონპროექტი ადგენს პროფესიული კავშირის უფლებათა გარანტიებს, როგორებიცაა პროფესიული კავშირის ქონებრივი და საფინანსო უფლებების გარანტიები, პროფესიული კავშირის ორგანოში არჩეული და ძირითად სამუშაოზე დასაქმებული პროფკავშირული მუშაკის დაცვის გარანტიები, პროფკავშირულ ორგანოში არჩეული გათავისუფლებული პროფკავშირული მუშაკის დაცვის გარანტიები, აგრეთვე დამსაქმებლის ვალდებულებები პროფესიული კავშირის საქმიანობისათვის პირობების შესაქმნელად.

კანონპროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონი (პარლამენტის უწყებანი, №15-16, 26 აპრილი, 1997, გვ. 6).

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტი მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:
ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: დიმიტრი ცქიტიშვილი და აკაკი ზოიძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: დიმიტრი ცქიტიშვილი და აკაკი ზოიძე.